ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 60-7-219-514
(კონსოლიდირებული ტენდერი CON1900000182)

ქ. თბილისი **„08" აპრილი, 2019 წელი**

ერთი მხრივ - **შემსყიდველი: სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"; ს/კ 204995176.**
მისამართი, ტელეფონი: მის: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა #2, ტელ: 0322 510 101
მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილი (რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება #181378706 09.11.2018წ.)
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი # TBCBGE 22, მიმღების ანგარიში# GE02TB0600000102467636 **მიმღების სახელი სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"**

და მეორე მხრივ - **მიმწოდებელი: შპს „ჯი-თი მოტორსი"; ს/კ 206276340.**
მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #155. 0322 59 50 00
დირექტორი: თემურ უსტიაშვილი.
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22, მიმღების ანგარიში GE64TB1136936020100001, მიმღების სახელი შპს „ჯი თი მოტორს".

ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ", სატრანსპორტო საშუალებების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, აგრეთვე „2019 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის № 2299 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია" - 2019 წლის განმავლობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 დეკემბრის № 2299 განკარგულების საფუძველზე, შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორსმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კონსოლიდირებული ტენდერით (CON1900000182) განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება. (დანართი #1)

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის სულ 15 (თხუთმეტი) ერთეული; ერთი ერთეულის ღირებულება - 51 527 ლარი).

2.3 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: CPV-34100000.

2.4 სატრანსპორტო საშუალების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 200 კალენდარული დღის ვადაში. სატრანსპორტო საშუალებების მიწოდების ადგილი - თბილისი; მიმწოდებლის სერვის ცენტრში.

2.5 სატრანსპორტო საშუალებების ძარის ფერი: თეთრი ან წითელი, მიმწოდებლის გადაწყვეტილებით;

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 772 905.00 (შვიდასსამოცდათორმეტი ათას ცხრაასხუთი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3.2 ავტომანქანების გეგმიურ მომსახურებაზე, რომელიც ასევე გათვალისწინებულია CON1900000182 კონსოლიდირებული ტენდერით, მიმწოდებელთან დაიდება დამატებითი ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის საფუძველზე (100 000 კმ-ზე ერთეული ავტომანქანის გეგმიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 4 258.00 (ოთხი ათას ორას ორმოცდა თვრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია სსე-ს ლოგისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნოდარ ქუბრიაშვილი.

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სატრანსპორტო საშუალებების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.5 წინასწარი ანგარიშსწორება:

ა) წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მიმწოდებლის მოთხოვნით შემსყიდველის მიერ განსაზღვრული და მასთან წინასწარ შეთანხმებული ოდენობის შესაბამისად, მაგრამ არაუმუტეს ხელშეკრულების ღირებულების 90%-ისა, წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება საგარანტიო წერილს წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის საბანკო ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტიის საფუძველზე.

გ) გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში;

დ) უპირობო, გამოუთხოვადი წინასწარი ანგარიშსწორების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში არ მიიღება გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საკუთარ თავზე გაცემული გარანტია.

ე) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიაში არ უნდა იყოს მითითებული, რომ გარანტია მცირდება შესრულების პროპორციულად.

ვ) წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს არანაკლებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადას პლუს არანაკლებ 30 კალენდარული დღით.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) პასუხი აგოს სატრანსპორტო საშუალებების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადებით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დანართებით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

დ) მიწოდებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაავრცელოს სატენდერო დოკუმენტაციითა და სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობები.

ე) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების უკან გაწვევა იმ შემთხვევაში თუ სატრანსპორტო საშუალებების მწარმოებელი ქარხანა საწარმოო დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს სატრანსპორტო საშუალებების უკან გაწვევის მიზნით.

ვ) საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (3 წელი ან 100 000 კმ, რომელიც ადრე დადგება, ძირითად აგრეგატებზე: ძრავი, გადაცემათა კოლოფი, ხიდი) გამოვლენილი ნებისმიერი საწარმოო დეფექტის აღმოფხვრა, შეკეთება ან საქონლის ახლით შეცვლა განახორციელოს საკუთარი სახსრებით, შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადა, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია განისაზღვროს არაუმეტეს 30 კალენდარული დღით, თუ საჭირო გახდა დეფიციტური ნაწილ(ებ)ის (რომელიც მოცემული მომენტისთვის შეუძლებელია მოძიებულ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე) შეცვლა ახლით. იმ შემთხვევაში თუ სატრანსპორტო საშუალების მიწოდებიდან 30 დღის განმავლობაში ავტომობილს აღმოაჩნდება საწარმოო დეფექტი ძირითად აგრეგატზე (ძრავა, გადაცემათა კოლოფი, ხიდი) მიმწოდებელი ვალდებულია სატრანსპორტო საშუალება შეცვალოს ახლით. იმ პირობით, რომ ავტომობილს არ ექნება შემსყიდველის ბრალეულობით გამოწვეული ისეთი დეფექტები და ნაკლი, რაც ცალსახად ამცირებს მის საბაზრო ღირებულებას:
ზ) თანმდევი საგარანტიო (გეგმიური) მომსახურება (ძრავის ზეთისა და ძრავის ფილტრის, წინა და უკანა ხუნდების, ჰაერის ფილტრის, კონდინციონერის ფილტრის, ძრავის ღვედი, ანთების სანთლები და სხვა.) გაწიოს, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, არანაკლებ სამ ქალაქში მათ შორის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), ხოლო სხვა საგარანტიო შემთხვევაში (არაგეგმიური) მიმწოდებელი უფლებამოსილია სატრანსპორტო საშუალება შეაკეთოს ქ. თბილისში. აღნიშნულ შემთხვევაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი. თანმდევ საგარანტიო (გეგმიური) მომსახურებაზე მიმწოდებელთან დაიდება დამატებითი ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით **ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.**

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
ბ) საგარანტიო მომსახურების ვადაში დაიცვას მიმწოდებლის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული საგარანტიო მომსახურების პირობები და სავალდებულო პერიოდული მომსახურების ვადები, (დანართი საგარანტიო მომსახურების პირობების და ვადების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს).
გ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.
ე) დაუბრუნოს მიმწოდებელს შესრულების და საავანსო გადახდის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების ორიგინალი წერილები ან მიმართოს ბანკს წერილობით გარანტიების გაუქმებაზე, მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შესრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებების ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.
გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.
დ) საქონლის მიწოდების ვადის 15-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.
ე) ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან უზრუნველყოფს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი პაიჭაძე და ტრანსპორტის მონიტორინგის და სერვისის განყოფილების უფროსი დავით თევდორაშვილი.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
6.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.05%. საქონლის მიწოდების ვადის 15-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.
6.3 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელს ჩამოერთმევა კონკრეტული ხელშეკრულებისათვის წარმოდგენილი ხელშეკრულების უზრუნველყოფისა და წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში წარმოდგენილი გარანტიები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.3 .მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 მხარეებს, სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი: სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"; ს/კ 204995176

მმართველთა საბჭოს წევრი
დავით ვარდიაშვილი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.04.08 16:16:53 +04'00'

მიმწოდებელი: შპს „ჯი-თი მოტორსი"; ს/კ 206276340

დირექტორი
თემურ უსტიაშვილი

JI-TI MOTORS LLC

Подписано цифровой подписью: JI-TI MOTORS LLC
Дата: 2019.04.08 16:39:07 +04'00'

ტექნიკური დავალება		დაზუსტებული
#	მოთხოვნილი პარამეტრები	შემოთავაზებული (სპეციალიზირებული) პიკაპის ტიპის ავტომობილი ფორდ რეინჯერი (არანაკლებ 2018 წლის; მწარმოებელი ქვეყანა სამხრეთ აფრიკა)
1	ძრავის მოცულობა არანაკლებ 2,2 (მონაცემები დამრგვალებულია მეათედებამდე)	2,2
2	ცხენისძალა არანაკლებ 102	150
3	გადაცემათა კოლოფი მექანიკური	მექანიკური
4	გადაცემთა კოლოფის საფეხურები არანაკლებ 5	6 საფეხურიანი
5	სიგრძე არანაკლებ 5 000მმ	5 362 მმ
6	სიგანე არანაკლებ 1 755 მმ	1 860 მმ
7	სიმაღლე არანაკლებ 1 760 მმ	1815 მმ
8	წვა შერეული წვის პირობებში 100 კმ-ზე არაუმეტეს 10,3ლ	7,0 ლ
9	საგარანტიო პირობა 3 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი) ან 100 000 კ მ გარბენზე, რომელიც ადრე შესრულდება	საგარანტიო პირობა 3 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი) ან 100 000 კ მ გარბენზე, რომელიც ადრე შესრულდება
10	ელექტროშუშები მინიმუმ წინა 2	ელექტროშუშები სულ 4, (წინა 2 და უკანა 2)
11	სათადარიგო საბურავი	სათადარიგო საბურავი
12	მინიმუმ 2 უსაფრთხოების ბალიში	6 უსაფრთხოების ბალიში
13	კონდიციონერი	კონდიციონერი
14	აუდიოსისტემა	აუდიოსისტემა
15	საჭის გამაძლიერებელი	საჭის გამაძლიერებელი
16	ABS	ABS
17	4X4 მექანიკური ჩართვისა და გამორთვის ფუნქციით	4X4 მექანიკური ჩართვისა და გამორთვის ფუნქციით
18	საჭის მარეგულირებელი	საჭის მარეგულირებელი
19	სარკეების ელექტროლეგულირება	სარკეების ელექტროლეგულირება
20	ავტომობილი უნდა იყოს მარცხენასაჭიანი, ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი	მარცხენასაჭიანი, ახალი, ექსპლოატაციაში არ მყოფი
21	ფერი: ნაცისმაგვარი ფერის , გარდა შავისა	ფერი: თეთრი და/ან წითელი

JI-TI MOTORS LLC

Подписано цифровой подписью: JI-TI MOTORS LLC
Дата: 2019.03.14 19:02:36 +04'00'

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.04.08 16:17:16 +04'00'

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
საბანკო გარანტია N1697369-10433455

ქ. თბილისი
3712/109-42

05 აპრილი, 2019 წელი

ვის: სს 'საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა' (ს/კ 204995176)
საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის ქ. 2
(შემდგომში „ბენეფიციარი“)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ **„ჯი-თი მოტორს“**-მა (ს/კ: 206276340) (შემდგომში „პრინციპალი“), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ **სპეციალიზირებული (პიკაპის ტიპის) სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვაზე** გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (**CON190000182**) წარდგენილი თავისი წინადადების თანახმად, იკისრა ვალდებულება, სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გასაფორმებელი ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად ბენეფიციარებთან წარადგინოს შესრულების საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით, ბენეფიციართან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში (15 (თხუთმეტი) ერთეული სპეციალიზებული (პიკაპი) ტიპის ავტომანქანის სახელმწიფო შესყიდვა) (შემდგომში „ხელშეკრულება“) მითითებულ თანხაზე, ჩვენ, სს თიბისი ბანკი (მის.: საქართველო, ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქ. #7) (შემდგომში „გარანტი“), თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთ აღნიშნული საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე

15,458.10 (თხუთმეტი ათას ოთხას ორმოცდათვრამეტი და 10/100) ლარი

და ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდის გამოუთხოვად და უპირობო ვალდებულებას (რაც გულისხმობს, რომ საგარანტიო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) პრინციპალის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მოთხოვნა საგარანტიო თანხის ანაზღაურებაზე ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული წერილობითი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა და განმარტებული იქნება კონკრეტულად პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან.

გარანტია ძალაში რჩება **2019 წლის 02 დეკემბრის ჩათვლით**.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე, გარანტის ზემოთ მითითებულ მისამართზე.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმითა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებით;
- გარანტის მიერ საგარანტიო თანხის ბენეფიციარისთვის სრულად გადახდით.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობი

სს „თიბისი ბანკი“-ს წარმომადგენელი
თამარ ხიზანიშვილი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.04.08 16:17:34 +04'00'